პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 ივლისი, შაბათი, 1985 წ.
№ 145 (8986) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ახალგაზრდობის და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალი

მშვიდობის გარბენი

მოსკოვი, 28 ივლისი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის სპორტული პროგრამა მშვიდობის გარბენით დაიწყო. მანამდე კი ფიზიკური კულტურის ცენტრალური ინსტიტუტის სტადიონის თავზე ჰაერში აჭრილმა ხუთფეროვანი დროშებით მორთულმა უზარმაზარმა ბურთმა იზმაილოვოში ფესტივალის საერთაშორისო სპორტული ცენტრის გახსნა აუწყა შეკრებილთ.

სტადიონის ბილიკზე ფესტივალის საპატიო სტუმარი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი გამოჩნდა. მან სიტყვით მიმართა ზეიმის მონაწილეებს, დედაქალაქის ფიზკულტურელებს, პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ოლიმპიური მოძრაობა მხარს უჭერს ახალგაზრდობის მისწრაფებას ყველა ქვეყნის ხალხთა ძმობისა და მეგობრობისადმი.

მშვიდობის გარბენში მონაწილე 35 ქვეყნის 2 ათასი სპორტსმენი სოკ-ის პრეზიდენტის ნიშანზე ადგილს მოწყდა და 6,5-კილომეტრიან ტრასას დაადგა.

გავიდა მცირე დრო, და აი, იჭუხა მუსიკამ, მაყურებლები ფინიშზე მოსულ სპორტსმენებს ტაშით და მხიარული შეძახილებით შეხვდნენ: „დაე, მსოფლიო ახალგაზრდობის ბრძოლის ადგილი მხოლოდ სპორტული ასპარეზი იყოს". საკონტროლო ხაზი ერთ-ერთმა პირველმა კოლუმბიელმა ვიქტორ მორამ გადაკვეთა. იგი თავის ქვეყანაშიც და მის ფარგლებს გარეთაც საკმაოდ ცნობილი სპორტსმენია — ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუს საახალწლო მარათონი „სანსილვესტრე" ოთხჯერ აქვს მოგებული. ფინიშთან მისულმა სპორტსმენმა განაცხადა: „ჩემის აზრით, სპორტსმენებს შეუძლიათ დაეხმარონ პოლიტიკოსებს მშვიდობის შენარჩუნებაში".

ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სპორტულ მოედნებზე და დარბაზებში გრძელდება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ოლიმპიური ორდენი — ლევ იაშინს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა სსრ კავშირის სპორტკომიტეტში ოლიმპიური ორდენი გადასცა გამოჩენილ საბჭოთა ფეხბურთელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლევ იაშინს.

ორდენის გადაცემისას ხუან ანტონიო სამარანჩმა თქვა: ლევ იაშინის ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერა მუდამ მისაბაძი იყო სპორტსმენთათვის, მისი დამსახურება დიდია სპორტის განვითარებასა და საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში.

იმარჯვებს სპორტი — იმარჯვებს მეგობრობა

მოსკოვი, 29 ივლისი. საერთაშორისო ცენტრში მთელი ძალით ძგერს ფესტივალის „სპორტული გული". დისკუსიებში, რომლებიც საერთაშორისო სპორტულ თემატიკას ეძღვნება, მონაწილეობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი სპეციალისტები, მწვრთნელები, სპორტსმენები.

დამთვალიერებლებს ელიან სპორტინვენტარის, ფილატელიისა და მონეტების საერთაშორისო გამოფენები. ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის სტადიონზე პირველი ერთობლივი ვარჯიშები ჩაატარეს ფრენბურთელებმა, ჩოგბურთელებმა, კალათბურთელებმა.

სპორტი ადამიანის საქმიანობის უნივერსალური სფეროა. მისი საარსებო პირობაა მშვიდობა პლანეტაზე. სწორედ ამიტომ მიმდინარეობს სპორტული შეჯიბრებები და შეხვედრები დევიზით: „იმარჯვებს სპორტი — იმარჯვებს მეგობრობა". ყველა კონტინენტის წარმომადგენლები ერთხმად ამბობენ სპორტი, მშვიდობა, მეგობრობაო. ეს წინადადება ახლობელი და გასაგებია თითოეულისთვის, თუმცა ბევრისთვის იგი რუსულ ენაზე წარმოთქმული პირველი სიტყვებია.

საფესტივალო მოზაიკა

● **ფესტივალის** საზეიმო გახსნის ცერემონიალში საბჭოთა კავშირის ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მონაწილეობდა. მაყურებლებმა მხურვალე ოვაცია გაუმართეს: ანატოლი ბელოგლაზოვს, ელენე ვალოვას, ოლეგ ვასილიევს, ალექსანდრე დიტიატინს, ვლადიმერ დოროხოვს, იური ზახარევიჩს, ნიკოლოზ ზიმიატოვს, სხვებსა და სხვებს.

● **„იმედების ხუთი რგოლი"** — დაერქვა 20-წუთიან დოკუმენტურ ფილმს, რომელიც ბულგარეთის ეროვნული ოლიმპიური აკადემიის საქმიანობაზე მოგვითხრობს. ფესტივალის მონაწილეთათვის განკუთვნილ ვიდეოფირს თან ახლავს ტექსტი რუსულ და ინგლისურ ენაზე.

● **ფესტივალის** სპორტულ პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ ბიოტრანსპორტის შემქმნელები და გამომცდელებიც. ფესტივალის მონაწილეები ნახავენ ახალი ტიპის ველომობილებს, ველოსიპედებს, ველოამფიბიებს და სხვა მანქანებს, რომლებსაც ადამიანი კუნთების ძალით მართავს.

ჭაბუკთა I საკავშირო სპორტული თამაშები

დავით გაგუნაშვილი

სამბო

დაიბადა 1967 წლის 23 აგვისტოს ახმეტაში.
დაამთავრა ახმეტის მე-2 საშუალო სკოლა.
მწვრთნელი გუგული ახრამიშვილი.
სპორტში მეცადინეობა 1979 წელს დაიწყო.
იყო „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი თანატოლებში.
გამოდის ძიუდოშიც. მოიგო ძიუდოისტთა რამდენიმე საკავშირო ტურნირი.
კიევში საბისტთა შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა 48 კგ წონით კატეგორიაში.

ბოლო მედლები

ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშები სამბისტთა ტურნირით დამთავრდა. ამ საინტერესო და უდავოდ პრესტიჟულ კომპლექსურ შეჯიბრებაში ბოლო ოქროს მედალი მოსკოველმა სამბისტმა კობა წაქაძემ დაისაკუთრა. ეს ფაქტი საგანგებოდ აღნიშნა თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა.

ტურნირის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მოჭიდავეთა გამოსვლის შედეგები შეაჯამა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ალექსანდრე ფეოდოროვმა. ითქვა, რომ ცალკეულ წონით კატეგორიებში პრიზიორთა შორის ყველა გუნდის წარმომადგენლები მოხვდნენ. ფეოდოროვმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ ახალგაზრდების ოსტატობას, რომლებმაც გაბედულად შეუტიეს გამოცდილ სამბისტებს და დამსახურებულ წარმატებასაც მიაღწიეს. მან პირველ რიგში დაასახელა ქართველი ათლეტები დავით გაგუნაშვილი და ბადრი ბასილაშვილი, შეაქო უკრაინელები ანდრეი მაკარევიჩი, ოლეგ კარმაზინსკი და ბელორუსიელი სერგეი რიაბოკონი.

●

საქართველოს სამბისტთა ნაკრები.



ბადრი ბასილაშვილი

სამბო

დაიბადა 1967 წლის 30 მარტს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში.
მწვრთნელი ბიჭიკო მარიდაშვილი.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1978 წელს.
ვარჯიშობს როგორც სამბოში, ისე ძიუდოში.
ხუთჯერ აქვს მოგებული სამბისტთა და ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირები.
ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშების ჩემპიონი 56 კგ წონით კატეგორიაში.

თამაშების დღიური

● **მოჭადრაკეთა** ტურნირში უძლიერესთა შორის საუკეთესო მაჩვენებელი უკრაინის გუნდის ლიდერს, ტერნოპოლის ოლქის სოფელ ბერეჟანის მკვიდრს ვასილ ივანჩუკს აღმოაჩნდა. როგორც ასპარეზობის დახურვის ცერემონიალზე ითქვა, სექტემბერში იგი ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებს. აქვე აღინიშნა, რომ ტურნირმა რამდენიმე ნიჭიერი და პერსპექტიული მოჭადრაკე გამოავლინა. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა დაასახელა მათი გვარები: ილია სმირინი (ბელორუსია), სტანისლავ სავჩენკო (უკრაინა), ილია ბინდარი და იულია დიომინა (რსფსრ), დავით ლობჟანიძე, ხვიჩა სუპატაშვილი და ქეთევან კახიანი (საქართველო).

● **მოფარიკავეთა** ტურნირი მოსკოვის წარმომადგენლებმა მოიგეს. გუნდის წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი რაპირისტმა პავლე სოლოვიოვმა შეიტანა — ორი ოქროს მედალი (პირადში და გუნდურში). ხმლით მოფარიკავეთა შორის ანდრეი კუზმინმა (უკრაინა) გაიმარჯვა, დაშნას ყველაზე უკეთ ედგარ რილცოვი ფლობდა (ლატვია). რაპირისტ ქალთა შორის ჩემპიონი ტატიანა სადოვსკაია (რსფსრ) გახდა.

● **აფროსანთა** გუნდურ ტურნირში ადგილები ასე განაწილდა: 1. ესტონეთი, 2. მოსკოვი, 3. რუსეთის ფედერაცია. პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: კაუნასელმა რ. შიუგჟდინისმა („470"-ის კლასი), მოსკოველმა ა. ბელოუსოვმა („ლუჩი"), სოჭელმა ე. ბოგატირიოვმა („ვინდგლაიდერი").

ელვა-ინფორმაცია

ლენინგრადი, 29 ივლისი. გმირი ქალაქი ლენინგრადი 1996 წლის ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ოფიციალური კანდიდატი გახდა. თეთრი ოლიმპიადის ლენინგრადში მოწვევის განაცხადი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს ქალაქის საბჭოს სახელით გადასცა ლენინგრადის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ხოდირევმა. მან აღნიშნა, რომ კეთილშობილური ოლიმპიური იდეები საბჭოთა ადამიანებისთვის ძალზე ახლობელია.

ლენინგრადში სამარანჩმა ყვავილებით შეამკო ქალაქის გმირ დამცველთა ხუროთმოძღვრული მონუმენტი. იმავე დღეს პრეზიდენტი მოსკოვს გაემგზავრა.

წყალბურთი

საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა გუნდმა (1967-68 წლებში დაბადებულნი) მეორედ მოიპოვა სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება. ამ თვალსაჩინო წარმატებას ჩვენმა წყალბურთელებმა ალმა-ათაში გამართულ შეჯიბრებაში მიაღწიეს. მეორე ადგილზე გავიდა ასპარეზობის მასპინძელთა გუნდი, მესამე იყო ლვოვის ნაკრები.

ჩვენი გუნდი „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი პირველად 1979 წელს გახდა თბილისში. ახლა საქართველოს ჭაბუკთა გუნდში იყვნენ გიორგი კერესელიძე, კონსტანტინე ლოლაძე, ალექსანდრე ბითაძე, ძმები ლევან და გიორგი წულაძეები, გია ანთაძე, ნოდარ ჩოლარია, გია გობეჯიშვილი, მიხეილ გიორგაძე, ილია ჯადუგაშვილი, სერგო რატიანი, ლევან ხარშილაძე. გუნდის უფროსი მწვრთნელია თენგიზ ივანიშვილი.

მძლეოსნობა

პოლტავაში გამართულ ჭაბუკ მძლეოსანთა საკავშირო პირველობაზე საქართველოს სპორტსმენებმა თავიანთ ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. მათ პროგრამის ორ სახეობაში გაიმარჯვეს, ერთში კი მეორე ადგილი დაიკავეს. უროს მტყორცნელთა ორჭიდში (უროს ტყორცნა და 60 მ რბენა) ყველას აჯობა **იოსებ შავერდაშვილმა**. ბადროს მტყორცნელთა შორის (ბადროს ტყორცნა და 60 მ რბენა) **ჯუმბერ ფანჯიკიძე** პირველობდა. მხტომელთა ასპარეზობაში (სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, 60 მ რბენა) **რაულ ხვიჩიამ** მეორე ადგილი დაიკავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლახტის წრეში

შარისთავები

ხდება ხოლმე, გადაათვალიერებ სარედაქციო ფოსტას, ჩაიკითხავ ზოგიერთ წერილს და გაოცებული იტყვი: ნუთუ ყველაფერი ეს მართალია, ნუთუ ასეთი განუკითხაობაც შეიძლება მოხდეს, როცა ფიზკულტურასა და სპორტს ამდენი ყურადღება ეთმობა?

ერთი ასეთი სიგნალი მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობიდან მივიღეთ. სასწრაფოდ დავუკავშირდით რაიონის ხელმძღვანელობას. ფაქტის სისწორეს შევამოწმებთო, გვითხრეს და ორი საათის შემდეგ პასუხიც გვაცნობეს — საგანგაშო არაფერი იყო, მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და ახლა ისეთივე შინაარსის წერილი 23 კაცის ხელმოწერით რესპუბლიკის სპორტკომიტეტის სახალხო კონტროლის ჯგუფმა მიიღო. რაიონის ხელმძღვანელთა განმარტებაში ეჭვი არ შეგვეტანია, მაგრამ განმეორებითმა საჩივარმა გვაიძულა მაინც ჩავსულიყავით სოფელში და საკუთარი თვალით გვენახა ყველაფერი, გავსაუბრებოდით იმ ადამიანს, ვისაც 23 თანასოფლელი ბრალს სდებდა თვითნებობასა და კოლმეურნეობის ქონების მითვისებაში.

თუმცა, მოდით, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. საჩივრის „მოკლე შინაარსი“ ასეთია: ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას ჰქონდა სპორტული კომპლექსი. 1984 წლის მარტში, ღამით, კოლმეურნეობის ყოფილმა ბრიგადირმა ბონდო ოქროპელიძემ მოთხარა ფრენბურთის ძელები, მიწით ამოავსო საჭიდაო და სიგრძეზე ხტომის ორმო და ეზო გააფართოვა, ამასთან მიითვისა კოლმეურნეობის მავთულბადე და ბოძები. როგორც ხედავთ, მართლაც აღმაშფოთებელი დანაშაულია, მაგრამ, ნუ ვიჩქარებთ. უფრო საგანგაშო ის არის, რომ 23 კაცი ცილს სწამებს პატიოსან კოლმეურნეს, რომელსაც სინამდვილეში სხვისი არაფერი მიუთვისებია. ფაქტიურად ამ კაცმა მისთვის ჯერ კიდევ 50-იან წლებში გამოყოფილი მიწის ნაკვეთი დაამუშავა. ეგ იყო და ეგ. ბონდო ოქროპელიძის საკარმიდამო ნაკვეთის ხარჯზე სპორტული მოედნების გაფართოების საკითხი სხვადასხვა დროს არაერთხელ დაუსვამთ რაიონის ხელმძღვანელობისა და კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე, მაგრამ მომჩივანთა ჯგუფს ყველგან დასაბუთებულ უარს ეუბნებოდნენ. რატომ არ იღებდნენ ყურად ახსნა-განმარტებებს? აქ უკვე ბონდო ოქროპელიძისა და მომჩივანთა ჯგუფის ხანგრძლივი დავა გამოდის წინა პლანზე. მომჩივნები შარისთავებად იქცნენ — ვითომ საზოგადოებრივი ინტერესები, ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის საკითხი გვაღელვებსო და ჯიუტად ცდილობენ თავისი გაიტანონ. ასევე ჯიუტად არ სურთ გაიგონ, რომ მოქალაქის პირადი ინტერესების დაცვა კანონითაა გათვალისწინებული. ამ კანონის დარღვევას არავის აპატიებენ. სოფლის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს, მომჩივანთა ჯგუფს პირველ ყოვლისა კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტმა უნდა აუხსნას, რომ მათი მოთხოვნა უსაფუძვლოა.

ახლა მკითხველს იმასაც ვეტყვით, რომ, ჩვენი აზრით, ფეხბურთის მინდორი, რომლის საზღვრების გაფართოებასაც ზოგიერთი მოითხოვს, საერთოდ უნდა გაუქმდეს და კოლმეურნეობამ სანაცვლო ადგილი სხვაგან გამოყოს. საქმე ის გახლავთ, რომ დასახელებული მინდორი საცხოვრებელ სახლებსა და საკარმიდამო ნაკვეთებს შორისაა მოქცეული. ზედ გვერდით ხაზთან თავდება მინდორი და იწყება ყანა თუ ბაღი, კარებს უკანაა რამდენიმე სახლი და ეზო. ასე რომ, მობურთალთა და მცხოვრებთა შორის მუდამ იქნება დავა-კამათი. მიუხედავად „საზოგადოებრივი ინტერესების“ არგუმენტად მოშველიებისა, არა გვგონია გლეხისთვის სასიამოვნო იყოს ბურთითა და მოთამაშეთა ფეხით გადათელილი ყანისა თუ ბოსტნის დანახვა. არც ისაა სასიამოვნო, ყოველდღე იმის შიში რომ გაქვს, არიქა, ფანჯრები არ ჩამომტვრიონო.

ვფიქრობთ, რაიონის ხელმძღვანელობა, სასოფლო საბჭო, კოლმეურნეობის გამგეობა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტენ სადავო საკითხს.

„ლელოს“ ბრიგადა.

სოფელი ფერსათი,
მაიაკოვსკის რაიონი.

დედაბუნება გვიხმობს

გაუკვალავი ბილიკებით

მოგზაურობის მოყვარულთ ანდამატივით იზიდავს სამხრეთ ოსეთის ბუნება — ლამაზი ველ-მინდვრები, ფრთაგაშლილი სერები და კლდოვანი მწვერვალები, ქარაფებიდან გამომსკდარი და ორწოხებში ჩაკარგული ჩანჩქერები...

ბუნებისადმი ჩვენი ხალხის დამოკიდებულებაში არის რაღაც განსაკუთრებული. სხვა სისათუთე იგრძნობა ამ სიყვარულში. ამიტომაა ყველაზე მოუცლელი კაციც რომ პოულობს დროს იმისათვის, რომ მშობლიურ მთა-ბარში იხეტიალოს. ზოგი მათგანი მარტო მიუყვება მთებისკენ მიმავალ ბილიკს, ზოგნი ჯგუფ-ჯგუფად მიემგზავრებიან.

1979 წელს შეიქმნა პროფკავშირების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს ტურისტული კლუბი, რომელიც დღესაც წარმატებით ემსახურება ქვეითი ტურიზმის პოპულარიზაციის საქმეს.

კლუბს მხოლოდ ერთი ინსტრუქტორ-მეგზურის შტატი აქვს, მაგრამ ენთუზიასტები და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების „განთიადისა“ და „სპარტაკის“ მესვეურნი დიდ მონდომებას იჩენენ. გარდა ამისა, ქარხნებში „ემალსადენსა“ და „ელექტროვიბრომანქანაში“, ტრიკოტაჟის ფაბრიკასა და სხვა საწარმოებში ქვეითი ტურიზმის მოყვარულთათვის ჩამოყალიბებულია სექციები, რომლებიც ტურისტული კლუბის ხელმძღვანელობით მოქმედებენ. ისინი ერთობლივად ადგენენ საინტერესო მარშრუტებს. ცხინვალელებმა უკვე შემოიარეს დიდი და პატარა ლიახვის ხეობების, ყელისა და ერწოს ტბების შემოგარენი, ავიდნენ როკის უღელტეხილზე, ნახეს მეთორმეტე საუკუნის შესანიშნავი ძეგლი — იკორთის ტაძარი, კოზბის ტბა, საბაწმინდის სამონასტრო კომპლექსი.

სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან აქ ჩამოსული ტურისტები ჯერჯერობით მოკლებული არიან ასეთ ლაშქრობებს. კლუბი, ალბათ, ყველა ღონეს იხმარს იმისათვის, რომ ეს ხარვეზი დროზე შეივსოს.

მოგზაურთ გაუკვალავი ბილიკები უხმობთ, სულ მალე ისინი დალაშქრავენ ძნელად მისადგომ ბრუტსაბძელას მთას.

ჯერ კიდევ ბევრი გზა და ბილიკია აღმოსაჩენი. დროც შესაფერისი დგას — ზაფხულის ერთი თვე ჯერ კიდევ წინაა.

ლეილა ხუბელიანი.
(„ლელოს“ საკ. კორ.).
ცხინვალი.

გულშემატკივრის კუთხე

დირიჟორი, რომელიც ჭადრაკს არ იცილებს

იმ საღამოს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჯუზეპე ვერდის ოპერა „რიგოლეტოს“ დგამდნენ. დირიჟორმა ერთ-ერთ მომღერალს, რომელიც საღამოს წარმოდგენაში არ მონაწილეობდა, სთხოვა რადიოს სპორტული გადაცემა მოესმინა და კარპოვ — კასპაროვის პარტიის სვლები ჩაეწერა. დილით ამ პარტიის ტექსტი გაზეთებში გამოქვეყნდებოდა, მაგრამ დირიჟორს გული არ უთმენდა, უნდოდა იმავე საღამოს გასცნობოდა.

რევაზ ტაკიძე არც თვითონ მონაწილეობს დიდ ტურნირებში და არც მსაჯად არის ხოლმე მიწვეული, მაგრამ იგი იმ უანგარო ენთუზიასტებისა და გულშემატკივრების რიცხვს ეკუთვნის, რომელთა გარეშე ჭადრაკი ალბათ ვერც კი ისულდგმულებდა. მონაწილეობს ერთდროულ სეანსებში, სისტემატურად თამაშობს ეგრეთ წოდებულ „ბლიცს“. სადაც მიდის (დირიჟორებს კი, მოგეხსენებათ, ხშირად უხდებათ მოგზაურობა), ყველგან ჯიბის ჭადრაკი მიაქვს.

— ცოცხალი მოჭადრაკეები პირველად ბათუმში ვნახე, სადაც ნონა გაფრინდაშვილი, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, ქალთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალში მონაწილეობდა. მისმა თამაშმა იმდენად გამიტაცა, რომ გაკვეთილების შემდეგ ყოველ ტურზე მივდიოდი. დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს შეჯიბრებას. მას შემდეგ ნონა ჩემი კერპია.

1960 წელს ბათუმში გაიმართა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი, რომელმაც უძლიერეს შემადგენლობას მოუყარა თავი. არც ერთი ტური არ გამიცდენია, ბევრი პარტია დღემდე მახსოვს.



● რამდენადაც ვიცი, იმ ჩემპიონატის პარტიები არ გამოქვეყნებულა.

— დიახ, მაგრამ მე პარტიებს უშუალოდ მსვლელობის დროს, სადემონსტრაციო დაფიდან ვიწერდი. სიტყვამ მოიტანა და, ადრე საქართველოს ჩემპიონატი გულშემატკივრებისთვის დიდი მოვლენა იყო. ეს შეჯიბრება თავს უყრიდა არა მარტო ჩვენს უძლიერეს მოჭადრაკეებს, არამედ გამოჩენილ დიდოსტატებსაც, საგანგებოდ რომ იწვევდნენ. ახლა?! როგორ მოხდა, რომ ჩემპიონატში თამაში ჩვენს დიდოსტატებსაც კი აღარ სურთ? „ლელომ“ გამოაქვეყნა დავით ჯანოევის წერილი, სადაც სრულიად სამართლიანად იყო გამოთქმული გულისტკივილი ამ შემაშფოთებელი გარემოების გამო. თურმე ნუ იტყვით, ჩვენი წამყვანი მოჭადრაკეები პირად რეიტინგს უფრთხილდებიან. რა ქნას ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატმა, სად შეიძინოს გამოცდილება, როცა საქართველოს ჩემპიონატი ზოგჯერ არც ტარდება (ასე მოხდა 1983 წელს), ან, თუ ტარდება, ახალგაზრდულ შეჯიბრებას ჰგავს? იგივე ითქმის ქალთა რესპუბლიკური პირველობის შესახებ, რომელსაც გამოცდილი ოსტატები ყოველნაირად არიდებენ თავს და რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობის დუბლირება.

● წამყვანი მოჭადრაკეები რეიტინგს იმიტომ დაჰკანკალებენ, რომ სწორედ ამ მონაცემების საფუძველზე იწვევენ მათ საერთაშორისო ტურნირებზე.

— დიახ, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში წარმატება რეიტინგს ხომ არ ამცირებს. თვით ეს რეიტინგიც რომ მეტად პირობითია და ბევრს არაფერს განსაზღვრავს, ამაში ერთხელ კიდევ დამარწმუნა მისი უკანასკნელი მონაცემების გამოქვეყნებამ. სად ნონა გაფრინდაშვილი და სად ნატალია ალიოხინა! რომელ ექსპერტს მოუვა თავში მათი ერთად დაყენება! ნონა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა, ალიოხინა კი ათასში ერთხელ ხვდება საკავშირო ჩემპიონატის ფინალში. ამის შემდეგ განა საკვირველი არ არის, რომ ალიოხინას გაფრინდაშვილზე უკეთესი რეიტინგი აქვს?! მაია ჩიბურდანიძემ, გარდა იმისა, რომ შარშან მსოფლიო ჩემპიონობა შეინარჩუნა, შესანიშნავად ითამაშა ქალთა და ვაჟთა ტურნირებში. მაშ როგორღა მოხდა, რომ იმავე რეიტინგლისტში მას პოლგარი მთელი 30 ქულით უსწრებს? საკითხავია, სხვა რაღა უნდა ქნას მსოფლიო ჩემპიონმა?

● რას იტყვით საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრების ბოლო გამოსვლებზე?

— გულშემატკივრებს ემახსოვრება: ჩვენმა გუნდმა II ადგილი დაიკავა ბოლო საკავშირო სპარტაკიადაზე, მეორე იყო წლევანდელ საკავშირო გუნდურ პირველობაზე და ეს მხოლოდ ქალების კარგი თამაშის შედეგი არ იყო.

ამ წარმატებებმა მე ისიც გამახსენა, რომ ჩვენს არც ერთ წამყვან მოჭადრაკეს მომავალ სპარტაკიადაზე თამაშის ნება არ ექნება ასაკობრივი ცენზის შემოღების გამო. სხვისი არ ვიცი, მე კი საქართველოს ნაკრები ვერ წარმომიდგენია მაია ჩიბურდანიძის, ნონა გაფრინდაშვილის, ბუხუტი გურგენიძის, თამაზ გიორგაძის გარეშე...

● თქვენ სისტემატურად ეცნობით საჭადრაკო ლიტერატურას, პერიოდიკას...

— დიახ, სისტემატურად ვკითხულობ „64“-ს, თანაც ისე ვიზოგავ, მომავალი ნომრის გამოსვლამდე რომ მეყოს.

საქართველოში ალმანახ „ჭადრაკის“ ნაცვლად მივიღეთ „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანი“. იგი ჯერ სულ „ახალგაზრდაა“ და ალბათ თანდათან მომაგრდება. ერთის თქმა ახლავე შეიძლება — ტირაჟი უნდა გაიზარდოს. რაიონებში „მერანის“ შოვნა ჭირს.

● თქვენ თბილისის საოპერო თეატრის დირიჟორი და კონსერვატორიის დოცენტი ბრძანდებით. ჭადრაკისთვის ძალიან ცოტა დრო გრჩებათ.

— ხანდახან ერთდროული თამაშის სეანსებში ვმონაწილეობ. ყაიმით დავამთავრე შეხვედრები ტაიმანოვთან, გურგენიძესთან, 1976 წელს, პოზიციის სამჯერ გამეორებით, — მსოფლიო ჩემპიონ კარპოვთანაც. სამაგიეროდ ქალებთან, როგორც წესი, ვმარცხდები.

ჭადრაკისთვის დროს ყოველთვის გამოვნახავ, ის კი მწყინს, რომ ჩვენთან საჭადრაკო შეჯიბრებები იშვიათად ტარდება. გოგლიძის მემორიალი ყოველგვარი პერიოდულობის გარეშე, შემთხვევიდან შემთხვევამდე ეწყობა, იგივე ითქმის ქალთა საერთაშორისო ტურნირზეც. არადა, ასეთ შეჯიბრებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, პირველ ყოვლისა, ჩვენი ახალგაზრდებისთვის. ერთ-ერთ ასეთ საერთაშორისო ტურნირზე მეტად საინტერესო ამბავს შევესწარი. ჩვენი ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორი ველიმირ კალანდაძე შესანიშნავ[illegible]ვენებდა დიდოსტატ პალ ბენკოს, რომელიც კარგი ნაწარმოებების ავტორიც გახლდათ. კალანდაძემ ინგლისური და უნგრული არ იცის, ბენკომ — ქართული და რუსული, მაგრამ ჭადრაკის ენით ისინი შესანიშნავად უგებდნენ ერთმანეთს.

მეტი უნდა ვიზრუნოთ იმათთვის, ვისთვისაც ჭადრაკი ძირითადი საქმიანობა არ არის. უნდა მოვაწყოთ ტურნირები შემცირებული რეგლამენტით (ნახევარსაათიანი, გნებავთ, ერთსაათიანი პარტიები), ისეთი, ტალინში რომ იმართება. კარგი იქნება, თუ დავნერგავთ საჭადრაკო სპექტაკლს, რომლის მაგალითიც დიდოსტატმა დავით ბრონშტეინმა გვიჩვენა. მე თვითონ დავესწარი იმ თვალწარმტაც სანახაობას: ბრონშტეინი ერთდროულად რვა პარტიას ეთამაშა მიხეილ ტალს. რვა ბრონშტეინის წინააღმდეგ რვა ტალი გამოდიოდა. ასეთ რამეს სად ნახავ!

ჭადრაკს ადამიანებისთვის უდიდესი სარგებლობა მოაქვს — ავითარებს კონკრეტულ და ზოგად აზროვნებას, თვითდისციპლინას. ამიტომ უნდა ვიფიქროთ დაწყებით კლასებში ჭადრაკის სავალდებულო სწავლებაზე. ამის მაგალითები უკვე იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ჩვენთანაც, — ლატვიაში.

● რომელი დიდი მოჭადრაკეების გულშემატკივარი ბრძანდებით?

— რა თქმა უნდა, ქართველი დიდოსტატებისა. ეს — თავისთავად. თუ მათ არ ჩავთვლით, ყოველთვის მხიბლავდა კერესის საოცარი სისადავე და ელეგანტურობა, ტალის კომბინაციური ფოიერვერკები. სპასკის ჯენტლმენური დამოკიდებულება პარტნიორებისადმი, ლარსენის ამოუწურავი საბრძოლო სულისკვეთება... ყოველთვის მომწონდა ზოგიერთი დიდი მოჭადრაკის უბრალოება და თავმდაბლობა. მაგალითად, რა დამავიწყებს, რომ ტალმა ბოტვინიკი შეადარა ბეთჰოვენს, კერესი — შოპენს, თავისი თავი კი ...გერშვინს!

● „რიგოლეტოს“ მესამე მოქმედებაში კარისკაცები ჭადრაკს თამაშობენ. ერთმა კირკიტა კაცმა ქანდარიდან ჭოგრიტით შეამჩნია, რომ მომღერლებს თამაში არ სცოდნიათ, ფიგურებს უბრალოდ, უაზროდ უცვლიდნენ ადგილს...

— ეს ამბავი თბილისში არ მოხდებოდა, რადგან ჩვენი ოპერის ყველა მომღერალი საკმაოდ კარგად თამაშობს ჭადრაკს. წინათ შეხვედრებიც კი იწყობოდა ოპერისა და კონსერვატორიის ნაკრებ გუნდებს შორის.

● ასეთი მატჩი თქვენ ახლა უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენებდათ. ორივე ნაკრები, სავსებით კანონიერად, მოისურვებდა, რომ თქვენ სწორედ მის გუნდში გეთამაშათ.

— ისღა დამრჩებოდა, რომ ამ მატჩში მსაჯი ვყოფილიყავი.

დირიჟორთან და მოჭადრაკესთან საუბარი ამით დავამთავრეთ. როცა ამ საუბრის გაგრძელება იქნება საჭირო, რევაზ ტაკიძეს „ლელას“, „ბაიადერას“, „გორდას“, „ქეთო და კოტეს“ ან იმავე „რიგოლეტოს“ შემდეგ მივაკითხავთ, ან, რაც კიდევ უფრო იოლია, თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოვძებნით.

**ინტერვიუ აიღო
გივი გამრეკელმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტივის კრების გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებების შესასრულებლად ამ დღეებში პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომმა და სპორტსაზოგადოება „განთიადმა“ ჩაატარეს ერთობლივი ღონისძიება. მასობრივ გარბენში 1500-მდე მუშა-მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა. მორბენლებმა სტარტი პლეხანოვის პროსპექტზე აიღეს, ფინიში კი ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ჰქონდათ. შეჯიბრება გაიმართა ბაგირის გადაძალვასა და სიმძიმეების აწევაში.

სურათზე: ზეიმის მონაწილენი.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

საქართველოს პირველობა

მშდ მრავალჭიდში

უპირველესი მოთხოვნა — მასობრიობა

კარგია, როდესაც მშდ კომპლექსის მრავალჭიდის რესპუბლიკური ფინალი ისე ორგანიზებულად ტარდება, როგორც ახლახან ჭიათურაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზისთვის მებრძოლთა შეჯიბრება ჩატარდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ფინალური შეჯიბრებები იმ ღონისძიებათა კომპლექსის მცირე ნაწილია, რომელიც მშდ-ის მასობრივად დანერგვას ითვალისწინებს. ისიც მისასალმებელია, დასკვნით შეჯიბრებებს ბევრი მონაწილე კარგად მომზადებული რომ ხვდება (ჭიათურაში ჩატარებული ფინალი ამ მხრივაც გამოირჩეოდა), მაგრამ მშდ ნიშნოსანთა მცირე ნაწილის კარგად მომზადებით ვერ გადავწყვეტთ იმ დიდ ამოცანებს, რაც ამ კომპლექსს აკისრია. თავი და თავი მშდ კომპლექსის მასობრიობა გახლავთ, მისი ეტაპობრივი შეჯიბრებები მაღალ დონეზე უნდა ჩატარდეს. სამწუხაროდ, ზონალური შეჯიბრებები ბევრგან ფორმალური ხასიათისაა და არც მასობრიობით გამოირჩევა, ზოგან კი (ყაზბეგი, ბოგდანოვკა) — საერთოდ არ იწუხებენ თავს. უნდა ვუსაყვედუროთ საქართველოს მნიშვნელოვანი რეგიონების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კომკავშირის კომიტეტებისა და სპორტკომიტეტების მუშაკებს: მათ ჭიათურაში ისე სუსტად მომზადებული გუნდები ჩამოიყვანეს, რომ თვალნათლივ დაგვარწმუნეს, როგორი „მონდომებით“ უმუშავნიათ წინასაეტაპო შეჯიბრებების მოსამზადებლად და ჩასატარებლად.

სხვათა შორის, „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზისთვის გამართულ შეჯიბრებებს რაიონებში შედარებით მეტი ყურადღებით ეკიდებიან, სხვა ეგიდით ჩატარებული ასპარეზობებისადმი კი გაცილებით ნაკლებ პასუხისმგებლობას იჩენენ. მაგალითად, ამას წინათ გაიმართა საქართველოს პირველობა მშდ მრავალჭიდში წვევამდელთა შორის. შეჯიბრებაზე, რომელიც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სამხედრო კომისარიატის, განათლების სამინისტროს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ერთობლივ ღონისძიებას წარმოადგენდა, **არ გამოცხადებულან 18 რაიონის: დმანისის, ორჯონიკიძის, მესტიის, ყვარლის, ცაგერის, გეგეჭკორის, ბოლნისის, ლენტეხის, ყაზბეგის, გორის, აბაშის, ადიგენისა და ახალქალაქის წარმომადგენლები.** ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც თბილისში ჩატარდა, ქუთაისელმა წვევამდელებმა იმარჯვეს (616 ქულა). მეორე ადგილზე თბილისის ლენინის რაიონის გუნდი გავიდა (598), მესამეზე კი — აჭარელი ახალგაზრდები (506). პირად ჩათვლაში პრიზიორთა სამეული ასე გამოიყურებოდა: 1. მ. ბერაია (თბილისი) — 99 ქულა, 2. ს. ზალიაკიანი (ქუთაისი) — 79, 3. ი. ხარატიშვილი (თბილისი) — 77.

„კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე გამართული რესპუბლიკური ფინალი აჭარელ სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა. შეჯიბრების ფავორიტები, როგორც წინა წლებში, ახლაც მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. მათ 1618 ქულა მოაგროვეს და საგრძნობლად ჩამოიტოვეს მასპინძელთა (1346) და ქუთაისელთა (1271) გუნდები. სუსტად იასპარეზა თბილისის ნაკრებმა (მე-5 ადგილი).

გაგაცნობთ გამარჯვებულებს ცალკეული საფეხურების მიხედვით: **გოგონები. II საფეხური.** ნ. კვირიკაშვილი (ქუთაისი) — 112 ქულა. **III საფეხური.** ს. ვორონცოვა (აჭარა) — 92; **ქალები. IV პირველი საფეხური.** ლ. ამინეევა (აჭარა) — 86, **IV მეორე საფეხური.** ნ. გაჩეჩილაძე — 95; **V პირველი საფეხური.** ლ. ლეტუნოვსკაია (ორივე — ჭიათურა) — 77; **V მეორე საფეხური.** ვ. მალახოვა (აჭარა) — 158.

ჭაბუკები. II საფეხური. ო. სვანაშვილი (ახმეტა) — 128; **III საფეხური.** დ. სტერლიაგოვი (აჭარა) — 123; **კაცები. IV პირველი საფეხური.** ი. გალევიჩი — 107, **IV მეორე საფეხური.** ვ. მამედოვი (ორივე—რუსთავი)—140; **V პირველი საფეხური.** ა. მეტრეველი (აფხაზეთი) — 135; **V მეორე საფეხური.** გ. ძოწენიძე (ტყიბული) — 138.

იროდი ბეჟაშვილი,
საქართველოს სპორტკომიტეტის მასობრივი ფიზკულტურისა და მშდ კომპლექსის განყოფილების უფროსი.

II ლიგა

II ლიგის IX ზონაში გრძელდება პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა საკავშირო თასის გათამაშება ფეხბურთში. მოგვყავს 28 ივლისის შეხვედრათა შედეგები: „მერცხალი“ (მახარაძე) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:0, „დინამო“ (სოხუმი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:1, „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „დილა“ (გორი) 6:1, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:0, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 0:2, „ოლიმპია“ (აშტარაკი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 1:4, „გიანჯლიკი“ (ბაქო) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 1:0.

ორი ნაკრების მატჩი

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის შესვენების პერიოდში, როგორც ვიუწყებოდით, მოეწყო ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის საწვრთნელი შეკრება, ხოლო შეკრების დასასრულს საკონტროლო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ პირველი და მეორე ნაკრები გუნდები.

თამაში მიმდინარეობდა პირველი ნაკრების სრული უპირატესობით, გამარჯვებაც მას დარჩა — 8:1 (პირველი ტაიმი — 4:1). გუნდის შემადგენლობა: დასაევი („სპარტაკი“), პოზდნიაკოვი („დინამო“, მოსკოვი), ვიშნევსკი („დნეპრი“), ჩივაძე („დინამო“, თბილისი), დემიანენკო („დინამო“, კიევი), ლიტოვჩენკო („დნეპრი“), ალეინიკოვი („დინამო“, მინსკი), გავრილოვი („სპარტაკი“), ჩერენკოვი („სპარტაკი“), პროტასოვი („დნეპრი“), ზავაროვი („დინამო“, კიევი). ზავაროვი მეორე ტაიმში შეცვალა იაკუბაუსკასმა („ჟალგირისი“, ვილნიუსი).

გამარჯვებულთა მხრივ 3 ბურთი გაიტანა პროტასოვმა, 2 — იაკუბაუსკასმა, თითო — გავრილოვმა, ლიტოვჩენკომ და ჩერენკოვმა (პენალტით), ხოლო დამარცხებულთაგან — კიეველმა ბელანოვმა (პენალტით).

საქართველოს თასზე

გუშინ რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში შედგა საქართველოს 1985 წლის თასის გათამაშების წილისყრა.

პირველ ტურში, რომლის მატჩები გაიმართება 3-4 აგვისტოს, ერთმანეთს შეხვდებიან შემდეგი გუნდები: ახმეტა — ზესტაფონი, ბოგდანოვკა — „მოტორი“ (თბილისი), ხობი — ბოლნისი, ხაშური — აბაშა, „ავტომობილისტი“ (თბილისი) — ჩხოროწყუ, დუშეთი — თერჯოლა, გალი — გარდაბანი, წალენჯიხა — ზუგდიდი, ჭიათურა — „იმედი“ (თბილისი), ქარელი — წულუკიძე, რუსთავი — გაგრა, ლაგოდეხი — წყალტუბო, „ულიანოვკა“ (ქობულეთი) — ცხინვალი.

მომდევნო ტურის მატჩები გაიმართება 10-11 აგვისტოს, შეჯიბრებაში ჩაერთვებიან ვანისა და გეგეჭკორის გუნდები, აგრეთვე, თბილისის „შევარდენი“.

სპეცსკოლების ფინალურ ტურნირზე

ნიკოპოლი. აქ დაიწყო ოლიმპიური რეზერვის საფეხბურთო სპეცსკოლების საკავშირო ფინალური შეჯიბრება. გათამაშების სტარტზე წარმატებას მიაღწიეს თბილისის ნორჩმა დინამოელებმა, რომლებმაც ჯერ ორჯონიკიძის „სპარტაკი“ დაამარცხეს — 1:0, ხოლო შემდეგ მოსკოვის თანაკლუბელთა გუნდი — 2:1.

გათამაშების პირველი ორი ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: ცსკა — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „სმენა“ (ლენინგრადი) 1:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — ცსკა 1:0, „სმენა“ (ლენინგრადი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 6:3.

რესპუბლიკის ჩემპიონი

გიორგი თენაძე

ქართული ჭიდაობა

დაიბადა 1962 წლის 24 მაისს გორში.
არის თბილისის
არმიის სპორტული კლუბის წევრი.
სიმაღლე — 178 სმ. წონა — 73 კგ.
მწვრთნელი — სსრ კავშირის
დამსახურებული მწვრთნელი
გურამ პაპიტაშვილი.
საქართველოს მრავალგზის
ჩემპიონი ქართულ ჭიდაობასა და
ძიუდოში.
სტუდენტთა მსოფლიო თამაშების
(1984 წ.) და თბილისის საერთაშორისო
ტურნირის (1985 წ.) ჩემპიონი ძიუდოში.

მსოფლიო ჩემპიონატი

შესარჩევი ციკლი

აფრიკა

აფრიკის ზონაში მრავალსაფეხურიანი წინასწარი შეხვედრების შემდეგ გამოვლინდნენ ოთხი ქვეყნის ნაკრები გუნდები, რომლებიც ერთმანეთს შორის გაითამაშებენ მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის ორ ფინალურ საგზურს.

ამ ოთხ გუნდს შორის არიან ალჟირი, მაროკო, ლიბია და ტუნისი. წილისყრა გაარკვევს ორ წყვილს, მეტოქეები ითამაშებენ შინ და სტუმრად, გამარჯვებულები მექსიკის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ.

მეოთხე საგზურისთვის

სამხრეთ ამერიკის სამი შესარჩევი ჯგუფიდან მსოფლიოს XIII საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალის სამივე საგზური უკვე მოიპოვეს ბრაზილიის, ურუგვაისა და არგენტინის გუნდებმა.

მაგრამ, დებულებით, სამხრეთ ამერიკას კიდევ ერთი ადგილი ეკუთვნის ფინალში. ამიტომ მეოთხე საგზურისთვის დამატებითი ტურნირი გაიმართება პერუს, პარაგვაის, ჩილისა და კოლუმბიის გუნდებს შორის.

შტილიკეს მასედა შეცვლის

გფრ-ის ნაკრების ცენტრალურ მცველ შტილიკეს ნაცვლად, რომელიც ამიერიდან შვეიცარიის „ნევშატელ ქსამაქსში“ ითამაშებს, მადრიდის „რეალმა“ მიიწვია ესპანეთის ნაკრების წევრი, 23 წლის ანტონიო მასედა.

მასედასთან, რომელიც მანამდე ხიხონის „სპორტინგში“ გამოდიოდა, „რეალის“ დირექტორატმა ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

ახალი სეზონიდან „რეალში“ ითამაშებს ესპანეთის ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელი, 28 წლის რაფაელ გორდილიო (სევილიის „ბეტისი“).

კონკურენტს დაუთმო

ბრიუსელის „ანდერლეხტმა“, რომელსაც, როგორც ჩანს, ფინანსური პრობლემები აქვს მოსაგვარებელი, გადაწყვიტა თავისი საუკეთესო თავდამსხმელი, 24 წლის ალექს ჩერნიატინსკი უშუალო კონკურენტისთვის, ლიეჟის „სტანდარდისთვის“ დაეთმო. 1984-85 წლების სეზონში ჩერნიატინსკი ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო „ანდერლეხტის“ შემადგენლობაში — ეროვნულ ჩემპიონატში მან 23 ბურთი გაიტანა.

გადახალისებული „იუვენტუსი“

ტურინის „იუვენტუსის“ მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, რომ მისი გუნდი ახალი, 1985-86 წლების სეზონის წინ საგრძნობლად გადახალისდა. გუნდიდან წასული ბონეკი, ტარდელი, როსი, ბინი და პასინატო შეცვალეს დანიელმა ლაუდრუპმა, იტალიელმა ფეხბურთელებმა მანფრედონიამ, პინმა, ბონეტიმ და პაციონემ, რომლებიც თავიანთი ქვეყნის პირველი ლიგის სხვადასხვა კლუბში გამოდიოდნენ.

ბილარდო სწორად იქცევა

წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ომარ სივორიმ მხარი დაუჭირა არგენტინის ნაკრების მწვრთნელს კარლოს ბილარდოს, რომელიც დიდ იმედს ამყარებს უცხოეთში მოთამაშე არგენტინელ ოსტატებზე. მან თქვა:

— ბილარდომ ნაკრებში მოიწვია მარადონა („ნაპოლი“), პასარელა („ფიორენტინა“), ბარბასი (სარაგოსის „რეალი“), ვალდანო (მადრიდის „რეალი“), ფილოლი („ფლამენგო“) და, ჩემი აზრით, სავსებით სწორად მოიქცა. ისინი ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან, ჩინებულად ითამაშეს მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩებში და ფინალშიც მათი იმედი უნდა ვიქონიოთ.

ინფორმაცია

წყალბურთი

რომი. ევროპის იუნიორთა ჩემპიონატში საბჭოთა წყალბურთელებმა გაიმარჯვეს. გადამწყვეტ შეხვედრაში მათ იტალიელ თანატოლებს აჯობეს — 7:3.

კალათბურთი

ტუზლა (იუგოსლავია). საბჭოთა კავშირის ქალთა ახალგაზრდულმა გუნდმა მეექვსედ მოიგო ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. ფინალში მან იტალიის გუნდი დაამარცხა — 78:55 (33:28). უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სპორტსმენებს არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ. ვერცხლის მედლები იტალიის, ბრინჯაოსი კი იუგოსლავიის გუნდმა მოიპოვა.

მძლეოსნობა

ოსლო. „ბიშლეტის“ სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე სამი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა. ნორვეგიელმა ინგრიდ კრისტიანსენმა 10.000 მეტრზე რბენაში 30.59,42 აჩვენა. მაროკოელმა საიდ აუიტამ 5.000 მეტრი 13.00,40-ში დაფარა, ხოლო სტივ კრემმა (ინგლისი) 1 მილი 3.46,31-ში გაირბინა.

წყალში ხტომა

ჟენევა. იუნიორ წყალში მხტომელთა ევროპის ჩემპიონატში ყველა ოქროს მედალი საბჭოთა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. ვლადიმერ ტიმოშინმა (მოსკოვი) და ტატიანა იურჩენსონმა (პერმი) ტრამპლინიდან ხტომაში აჯობეს ყველას, მიხეილ ბარანოვმა (ელექტროსტალი) და ინგა აფონინამ (ზაპოროჟიე) — კოშკიდან ხტომაში. საბჭოთა სპორტსმენებს გადაეცათ სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალიც.

ალმა-ათა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე წყალქვეშა სპორტის სახეობებში ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარდა. ლენინგრადელმა სტუდენტმა სვეტლანა კირეევამ 100-მეტრიან დისტანციაზე 39,95 აჩვენა.

მოტოსპორტი

სოფია. საბჭოთა მოტოკროსმენებმა სოციალისტური ქვეყნების „მეგობრობის თასი“ მოიპოვეს. პირად ჩათვლაში ალექსი გლუხოვმა (სსრ კავშირი) და ლასლო დიურასიმ (უნგრეთი) იმარჯვეს.

ფრენბურთი

ლენინგრადი. ვ. სავინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფრენბურთელთა ტრადიციული ტურნირი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს. გადამწყვეტ შეხვედრაში მათ აშშ-ის ნაკრები 3:1 დაამარცხეს. ბრინჯაოს ჯილდოები კუბელ ფრენბურთელებს გადაეცათ.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

ლუის-მიგელ არკონადა:

„მეკარის შეცდომას ყველა ხედავს“

ლუის-მიგელ არკონადა საკმაოდ კარგად არის ცნობილი ჩვენი მკითხველისათვის, რომელსაც იგი ევროპის შარშანდელი ჩემპიონატიდან ახსოვს. ესპანელების ვერცხლის მედალი მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ ნიჭიერი მეკარის დამსახურებაა.

ესპანეთისა და უცხოეთის სპორტული პრესა ბევრს წერს არკონადას შესახებ. საერთო აზრის თანახმად, იგი ისეთივე საინტერესო ადამიანია, როგორიც ფეხბურთელი.

ესპანეთი სახელგანთქმული მეკარეების ქვეყანაა. გავიხსენოთ ლეგენდარული ზამორა, რამალიეტსი, ირიბარი... ესპანელ მიმომხილველებს არკონადა მათ ღირსეულ მემკვიდრედ მიაჩნიათ. ბასკი მეკარის დიდება მის სამშობლოში მართლაც განუზომელია. როცა ბასკი გულშემატკივრები არკონადას კლუბის, სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადის“ ფეხბურთელებთან ერთად ჯგუფურ სურათს იღებენ, ყველა ცდილობს როგორმე არკონადას გვერდით დადგეს, არკონადას მასშტაბის ფეხბურთელებმა გაუთქვეს სახელი ესპანეთშიც და მის ფარგლებს გარეთაც სან-სებასტიანს და ბასკური ფეხბურთის ერთ-ერთ უძლიერეს წარმომადგენელს „რეალ-სოსიედადს“.

საფეხბურთო ცხოვრება ცვალებადია. მიუხედავად პოპულარობისა, მისთვის უცხო არ არის სინანულის მწარე წუთები და გულისტკივილი. მაგალითად, არც არკონადას, არც ესპანეთის ნაკრების დანარჩენ წევრებს „ულმობელმა“ გულშემატკივარმა და პრესამ არ აპატიეს 1982 წელს ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში განცდილი მარცხი. არკონადას, მისივე თქმით, დღემდე არ აძლევს მოსვენებას ამ ჩემპიონატში ჩრდილოეთ ირლანდიასთან და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან მატჩებში გაშვებული ბურთები, ისევე, როგორც დრამატული და აუხსნელი გოლი ევროპის ჩემპიონატის ფინალში. „1982 წლის მსოფლიო პირველობის დროს მე ვცდილობდი დამემტკიცებინა, რომ ზამორას ღირსეული მემკვიდრე ვიყავი. ვოცნებობდი მსოფლიო ჩემპიონობაზე, მაგრამ გარემოებამ სხვაგვარად განსაჯა. ჩვენს თამაშებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა მაყურებლის ჩარევამ გუნდის შინაურ საქმეებში. გულშემატკივრები ჩვენს პირად ცხოვრებაში შემოჭრასაც კი არ ერიდებოდნენ. როცა ამგვარი დამოკიდებულება დიდხანს გრძელდება, ფეხბურთელი თანდათან კარგავს რწმენასა და მოთმინებას. ამ დროს კაცს რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს“.

არკონადას სასოფლო-სამეურნეო განათლება აქვს მიღებული. მამამისი საკონსერვო ქარხნის მფლობელია. საერთოდ მისი ინტერესებისა და გატაცებათა სფერო ზოგიერთივით მარტო ფეხბურთით როდია შემოფარგლული. ეს ეწინააღმდეგება მისი ცხოვრების წესსა და პრინციპს. არკონადას ძალიან უყვარს თავისი ოჯახი — მეუღლე კარმენი, ვაჟი ლუისი და ქალიშვილი ნერეა. „ღმერთმა ნუ ქნას,—წერს ერთ-ერთი ესპანური გაზეთი, — ვინმეს აუგი დასცდეს მისი ოჯახის წევრებზე — მეუღლეზე, ვაჟზე ან ქალიშვილზე. მაშინ აუგის მთქმელი სულ სხვა არკონადას გაიცნობს“.

რაც შეეხება ფეხბურთს, სახელგანთქმული მეკარე თვითონაც უსაზღვროდ ერთგულია საყვარელი თამაშისა და სხვისგანაც ამასვე მოითხოვს.

„როცა ფეხბურთელს მიაჩნია, რომ ფეხბურთს მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, — ამბობს არკონადა,—მაშინ იგი დიდი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს თამაშს. ძნელი წარმოსადგენია, კაცს მართლა უყვარდეს რამე და მას პატივისცემით არ ეპყრობოდეს“. ასეთია პროფესიონალი ფეხბურთელის არკონადას ფილოსოფია.

არკონადა და სან-სებასტიანი თითქმის სინონიმებად იქცა. ესპანეთის ძლიერი კლუბები „ბარსელონა“ და „რეალი“ მრავალგზის შეეცადნენ მის გადაბირებას, მაგრამ ამაოდ. „რეალის“ მენეჯერი „რეალ-სოსიედადს“ იმასაც კი ჰპირდებოდა, არკონადას თუ შეელევით, ახალი სტადიონის მშენებლობაში დაგეხმარებითო. ნამდვილი კურიოზი მოხდა ერთხელ, როცა „ბარსელონის“ მწვრთნელმა, დასავლეთგერმანელმა ჰენეს ვაისვაილერმა დაავალა სან-სებასტიანში სამი მეკარიდან ერთ-ერთი შეერჩია თავისი გუნდისთვის. იმხანად არკონადას ასე დიდი სახელი არ ჰქონდა, მაგრამ ვაისვაილერმა მაინც შეუცდომლად გამოიცნო მეკარეთა შორის საუკეთესო და ეს, როგორც თქვენ უკვე მიხვდით, ლუის-მიგელ არკონადა იყო. როცა ვაისვაილერმა იკითხა, ეს მეკარე რა გვარიაო, უპასუხეს, არტოლაო. მწვრთნელს ბევრი აღარ უფიქრია, გადაწყვიტა ეყიდა არტოლა, მოელაპარაკა „რეალ-სოსიედადის“ ხელმძღვანელობას და სტუმარ-მასპინძლებმა ხელი ხელს დაჰკრეს. როცა ბარსელონაში არკონადას მაგიერ ნამდვილი არტოლა ჩავიდა, განცვიფრებულ ვაისვაილერს კინაღამ ტვინში სისხლი ჩაექცა.

ცნობილმა მეკარემ გამოცდილებით იცის, რომ მისი უდიდებულესობა იღბალი როგორც ცხოვრებაში, ისე ფეხბურთში ზოგჯერ გადამწყვეტ როლსაც კი თამაშობს: „წელიწად-ნახევარი სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი, მაგრამ ყოველ წუთს მზად ვიყავი მოედანზე გასასვლელად. საერთოდ ფეხბურთელი მუდამ უნდა ცდილობდეს არ გაუშვას ხელიდან შანსი, რომელიც შეიძლება მეორედ აღარც კი მიეცეს. მე გამოვიყენე შანსი, რომელიც 1971 წელს ესპანეთის თასის გათამაშების ერთ-ერთ მატჩში მომეცა. მაშინ რომ თამაში არ გამომსვლოდა, დღეს მეკარე არკონადა არ იქნებოდა“.

არკონადას აზრით, სწორი არ არის მოარული აზრი, თითქოს გუნდის დამარცხებაში უმთავრესად მეკარეებს მიუძღოდეთ ბრალი: „მე ვფიქრობ, მატჩის მოგება-წაგების საკითხი შეიძლება გადაწყვიტოს ნებისმიერმა მოთამაშემ და არა მარტო მეკარემ. საქმე ისაა, რომ, სამწუხაროდ, მეკარე ერთადერთი მოთამაშეა, რომლის შეცდომასაც ყველა ხედავს“.

ლუის-მიგელი არ ეწევა, არ სვამს. მის ოჯახში იკრძალება თამბაქოს მოწევა და მაგარი სასმელების სმა. ბოსტნეულს მის მენიუში მთავარი ადგილი უკავია. გაციებისაგან თავის დასაცავად იგი ჰომეოპათის რჩევით თაფლისა და ლიმონის ნაყენს სვამს. ყავა არ უყვარს.

არკონადა იშვიათად იცვლის სპორტულ ტანსაცმელს. ეს მისი სტილია. ფორმას მხოლოდ მაშინ გამოიცვლის ხოლმე, თუ მართლა უსაშველოდ დაძველდა ანდა მისმა გუნდმა თამაში დიდი ანგარიშით წააგო. სამაგიეროდ ხელთათმანები შეიძლება თამაშის პროცესში რამდენჯერმე გამოიცვალოს. როგორც იტყვიან, კაცია და გუნება.

„სპორტლოტო“

გუშინწინ შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 30-ე ტირაჟი.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 3 (ბობსლეი), 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 11 (ფრენბურთი), 21 (ცურვა), 27 (მშვილდოსნობა), 28 (ტყვიის სროლა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 1 (კალათბურთი), 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 29 (სასტენდო სროლა), 32 (ფიგურული ციგურაობა).

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 30 ივლისი. საჭადრაკო სკოლა — **15.45** (2); ფეხბურთი, სეზონის თასზე. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (მოსკოვი). რეპორტაჟი ლენინგრადიდან — **20.00** (2);

საკავშირო რადიო. 30 ივლისი. დილის ტანვარჯიში — **6.15** და **7.15**; საწარმოო ტანვარჯიში — **12.00.**

საქართველოს ტელევიზია. 30 ივლისი. ფეხბურთი, სეზონის თასზე, „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (მოსკოვი). რეპორტაჟი ლენინგრადიდან — **20.00.**

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჟურნალ-გაზეთებზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველო „სოიუზპეჩატი“ იუწყება, რომ ხელმოწერა 1986 წლისათვის საბჭოთა და საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებზე 1985 წლის 1 აგვისტოდან დაიწყება.

ჟურნალ-გაზეთები შეგიძლიათ გამოიწეროთ „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში, სპეციალურ პუნქტებში, პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან — ორგანიზაციებსა და საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, აგრეთვე კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და თბილისის ფოსტამტში.

ინდივიდუალური ხელმოწერა საბჭოთა და საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებზე მიიღება 1 ნოემბრამდე, საუწყებო ხელმოწერა კი წარმოება-დაწესებულებებისათვის 31 აგვისტომდე გაფორმდება.

„სოიუზპეჩატის“ რესპუბლიკური სამმართველო.

კალეიდოსკოპი

ორი მსოფლიო ჩემპიონის შეხვედრა

13 ნოემბერს ლას-ვეგასში (აშშ, ნევადის შტატი) გაიმართება მორიგი მატჩი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის. მსოფლიო ჩემპიონი, 35 წლის ლარი ჰოლმსი თავის ტიტულს დაიცავს 29 წლის მაიკლ სპინქსთან ბრძოლაში.

საინტერესოა, რომ სპინქსიც მსოფლიო ჩემპიონია, ოღონდ ქვემძიმე წონაში.

საუკეთესო სნაიპერი

იტალიის კალათბურთელთა ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერად აღიარეს ცნობილი იუგოსლაველი სპორტსმენი, 34 წლის დრაჟენ დალიპაგიჩი („უდინე“). მან 923 ქულა მოაგროვა და 6 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ბრაზილიელ ოსკარ შმიტს.

კოვა შედეგით კმაყოფილია

ცნობილი იტალიელი მორბენალი ალბერტო კოვა სეზონისათვის საკმაოდ ორიგინალურად ემზადება. იგი ირჩევს ერთ რომელიმე მსხვილ შეჯიბრებას (მსოფლიო ან ევროპის ჩემპიონატი, ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო თასი და ა. შ.) და წვრთნის გრაფიკს ისე წარმართავს, რომ აღნიშნულ ღონისძიებას მაქსიმალურად მომზადებული შეხვდეს. ასეთ მეთოდს მსოფლიოს სხვა გამოჩენილი მძლეოსნებიც მიმართავენ, მაგრამ კოვა, მათგან განსხვავებით, ყურადღებას მხოლოდ ერთ ტურნირზე ამახვილებს, სხვები კი რამდენიმე მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე.

ასე მოიქცა იგი, მაგალითად, 1982 წელს, როცა ევროპის ჩემპიონატი მოიგო, ასე იყო ერთი წლის შემდეგ ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატში და 1984 წელს ოლიმპიურ თამაშებში. ახლა კოვას განზრახული აქვს რომელიმე მარათონში მოსინჯოს ძალა:—თუ შედეგმა არ დამაკმაყოფილა, მაშინ ისევ 10 ათას მეტრზე რბენას დავუბრუნდები, — განუცხადა მან კორესპონდენტებს. ამას წინათ ცნობილი გახდა, რომ კოვა მარათონში აპირებს გამოსვლას, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოჩენილი მორბენალი თავისი შედეგებით კმაყოფილია.

სპორტი ყველას აინტერესებს

სპორტი შვეიცარიის რეგიონალურ პრესაში ყველაზე პოპულარული თემატიკაა. ციურიხის უნივერსიტეტის თანამშრომელთა შესწავლის საფუძველზე (ისინი წლების მანძილზე სწავლობდნენ შვეიცარიის გაზეთების რუბრიკებს) სპორტს პრესაში მთელი ადგილის 25 პროცენტი აქვს დათმობილი, 20 პროცენტზე ადგილობრივი ქრონიკის მასალები იბეჭდება, საგარეო პოლიტიკისა და შინასახელმწიფოებრივ საკითხებს მხოლოდ 12 პროცენტი ეთმობა. დანარჩენი ადგილი კი მიაქვს რეკლამას, რომელიც გაზეთის შემოსავალსა და სიმტკიცეს უზრუნველყოფს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსია:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 06288